თარ თავზე იწვინეთ ყველა ის რაც ქვეყანაში ვითარდებოდა. მაგრამ სწორ გზაზე დადქით და გააკეთეთ ის, რაც თქვენმა ნიჭმა და უნარმა გაკვალა, სპეციალობით ისტორიკოსი, სკოლის დირექტორი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ამავე დროს სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობის უბედლო შემსრულებელი.

ადამიანი, ეს არის სხეული, რომელიც ექვემდებარება მატერიის კანონებს, მაგრამ, ამავე დროს, არის სული, დაჯილდოებული თავისუფლებით, ღვთის, მოყვასის სიყვარულით.

თქვენი პიროვნება, თქვენი სული დაჯილდოებულია უკვდავებისათვის, რომელიც თქვენ ამქვეყნიურ ცხოვრებით მოიპოვეთ და აგრძლებთ.

ბატონო თამაზ, თქვენ ჩვენი სოფლის დეკაზუს თავმჯდომარე გახდით, ეს

იყო 70-იანი წლები. მე კი როგორც ამავე სოფლის მასწავლებელს გვქონდა საქმიანი ურთიერთობა.

ყოველთვის მხიბლავდა თქვენი ერუდიცია, კარგი მეტყველება, საქმიანი გადაწყვეტილებების მიღება და ზშირად მიფიქრია: აი, ასეთი უნდა იყოს სოფლის თავკაცი-თქვა.

შემდეგ მოხდა ის, რომ თქვენი სამი შვილი ჩვენს სკოლაში მოიყვანეს აღსაზრდელად. გამორჩეულები და საქმიანები იყვნენ ისინი, როგორც თქვენ ბრძანდებით.

თქვენი ოჯახის პარმონიული ცხოვრება, თქვენი და თქვენი მეუღლის, ქალბატონ ნანის ღმილიანი სახე შეცვალა ქალიშვილის, მზიას გარდაცვალებამ. რაც ჩვენთვისაც დიდი ტკივილი იყო.

მიუხედავად ამ დიდი განსაცდელისა, სულით არ დაეცით, კვლავ სიყვარულსა და სიბრძნეს ასხივებდით. ხართ სოფლის უხუცესი წევრი და თუ ვინმეს რჩევა სჭირდება თქვენთან მოდის, თქვენ გეკითხება რჩევას. თქვენ არ დალატობთ ტრადიციას, ჩვეული ერუდიციით მოძღვრავთ ყველას, მეუბნებლს, ახლობელს.

იცოცხლეთ ბატონო თამაზ, ღმერთმა დარჩენილი წლები სიხარულში გაგატარებინოთ, თქვენს მეუღლე ქალბატონ ნანისთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად.

## ნათელა ლლონტი

დეკაზუს საჯარო სკოლის მასწავლებელი

ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი

გივი ინჟირველი



ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, სასწავლო პროცესებისა და მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი, მეცნიერთა მიხედვით პლეადის აღმზრდელი, ქვეყნის გარეთ აღიარებული ავტორიტეტი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და პოლიტოლოგიის სფეროში - ასე ახასიათებდა 2004 წელს, გარდაცვალების შემდეგ ბატონი გივი ინჟირველი პროფესორი, საერთაშორისო სამართლის პირველი ქართველი მეცნიერი ლევან ალექსიძე.

მამა ზაქარია ინჟირველი ოზურგეთის მაზრის სოფელ დვბაშუში დაიბადა. ძმები ზაქარია და ამბროსი, ახლო ნათესავები მელიტონ ნაჭყვია, პროკოპი ინჟირველი აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, რომლის დაკარგვის შემდეგ ზაქარია, ამბროსი ინჟირველები პარიზში მოღვაწეობდნენ. საფრანგეთში წავიდა ემიგრაციაში პროკოფი ინჟირველიც, რომელიც ლევილის სასაფლაოზე განისვენებს.

ლევან ალექსიძის მოვლებიდან: „ბატონი გივი ინჟირველი საოცრად თბილი, და, ამავე დროს, პრინციპული ადამიანი იყო, ავტორიტეტების წინაშე ქედუხრელი და მებრძოლი საკუთარი პინციპების ცხოვრებაში გასატარებლად. ეს თვისება ჯერ კიდევ 50 წლის წინ გამოამჟღავნა, როდესაც მოსკოვში, ასპირანტურაში ვსწავლობდით. (1948 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში გივი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. საკმარისია ითქვას, რომ ის ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის წევრად აირჩიეს.

დადგა 1949 წელი. საბჭოთა კავშირში დაიწყო ნადირობა ებრაელ მეცნიერებზე, ე. წ. კოსმოპოლიტიზმის აღმოფხვრის მიზნით. მთავარი ბრალდება იყო: რატომ იყენებთ და უთითებთ სქოლიოში „დამპალი დასავლეთის“ მეცნიერებათა შრომებს, ეს ხომ ქედის მონარა იმპერიალისტური მეცნიერების წინაშე. ამ კატეგორიაში ჩვენი ინსტიტუტიდან, საბჭოთა მეცნიერების კორიფეები კრიანინი, ლევინი და სხვანი მოხდნენ. მოიწვიეს კრება მათი დასჯის მიზნით - პარტიიდან გარიცხვა და ინსტიტუტიდან გაგდება ემუქრებოდა. უნდა

გენასათ რა დღეში ჩააგდეს ისინი ველიკოდერჟავინელებმა.

ვერ მოვითმინეთ და ავჯანყდით. შევუტიე, შევარცხენე პარტიული კომიტეტის წევრები. მე კომკავშირელი ვიყავი, ბევრი დასაკარგი არ მქონდა, მაგრამ როდესაც გივი ავიდა ტრიბუნაზე და მხარი დაგვიჭირა, ყველა გაგონებული დარჩა, იცოდნენ რაც ემუქრებოდა მას. და მაინც! ლელო გავიტანეთ, გადავარჩინეთ ჩვენი მასწავლებლები და სხვანი. გივი ამ პოზიციის გამო მოაცილეს პარტიულ კომიტეტს, რაც იმ დროს ძალზე სერიოზული სასჯელი იყო და ამავე დროს, ავის მომასწავებელიც.“

1951 წელს გივი ინჟირველი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მოსკოვის სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურის დამთავრებისთანავე, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხით იურიდიული ფაკულტეტის მასწავლებლად დაინიშნა. თითქმის იმავდროულად გახდა უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი. საბჭოს თავმჯდომარეობდა რექტორი, აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი.

26 წლის ასაკში გივი ინჟირველი სათავეში ჩაუდგა უდიდესი ტრადიციების იურიდიულ ფაკულტეტს. იგი ამ ფაკულტეტის დეკანი იყო 1952-1966 და 1989-1998 წლებში

1965 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაციის თემაზე „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის პრობლემები“.

იყო სამართლის, შემდეგ სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის გამგე. 1995 წელს იყო საქართველოს საკონსტიტუციო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

მისი ავტორობით გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ბროშურები, კანონმდებლობის კომენტარები, სტატიები ჟურნალებში ქართულ, რუსულ ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ ენებზე.

მისი შემტვეი, მიზანმიმართული, აქტიური და დაუღალავი მუშაობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა და ამაღლდა იურიდიული ფაკულტეტის მნიშვნელობა და ავტორიტეტი.

მოგონებებიდან: „...ყველა გვარს ჰყავს თავისი „მწვერვალი“, „სინდისი და ნამუსი.

გივი ინჟირველი თავისი გვარის მწვერვალიც იყო და სინდის-ნამუსიც!

გვახსოვს, სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომმა როგორი თავგამოდებით დაიცვა 1956 წლის მოვლენების სისხლიანი მონაწილე ერთი ჭაბუკი ინჟირველი. ბატონი გივი არც მოსალოდნელ უსიამოვნებებს მოერიდა და არც კარიერის დაკარგვის საფრთხეს. ქვეყანა შედრა და შეაწრიალა. სიმართლისათვის ხმალოდებულმა მისი ფიზიკური და მორალური გადარჩენისთვის უშრეტად დახარჯა ძალა და ენერგია. რამდენი ასეთი მაგალითის განსვენება შეიძლება!“

2001 წელს აშშ ბიოგრაფიების ინსტიტუტის მიერ პროფესორი გივი ინჟირველი აღიარებული და

დასახელებული იყო მეცნიერების დარგში მსოფლიო მნიშვნელობის ათას ლიდერთა შორის, ხოლო მისი მოღვაწეობის შესახებ გაკეთდა „მუღმივი ჩანაწერი აშშ კონგრესის ბიბლიოთეკაში.“

ბატონი გივი ინჟირველი იყო „სამართალმცოდნეობის“ საგნის მრავალი სახელმძღვანელოს და დამხმარე სახელმძღვანელოების ავტორი იყო იურისტთა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი.

ქართულ იურისპრუდენციაში პროფესორ გიორგი (გივი) ინჟირველის მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სისტემატურ ზრუნვასთან მეცნიერული კადრების მოზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ამისი საუკეთესო პირობები შეიქმნა მას შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა იურიდიულ მეცნიერებათა ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭო, რომელმაც თავიდან პროფესორი ლევან ალექსიძის, ხოლო 1993 წლიდან პროფესორ გივი ინჟირველის თავმჯდომარეობით და საბჭოს სხვა წევრების ძალისხმევით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია ქართული იურიდიული მეცნიერების დონის ამაღლებისა და განვითარებისათვის.

ბატონი გივი იყო აშშ ერთ-ერთი დიდი ქალაქის -ჰიუსტონის, აგრეთვე ქალაქების - ოსტინისა და ლაბოვის საპატიო მოქალაქე, მაგრამ ყველაზე მეტად საამაყო მისთვის თბილისის საპატიო მოქალაქეობა იყო, იგი ხომ თბილისში, პლენანოვზე დაიბადა და „მეფეთუბნის“ კლუბის აქტიური წევრი იყო.

„45 წელი მაკავშირებდა მასთან. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბევრჯერ მომიხდა მის გვერდით ყოფნა -ჭირი იქნებოდა ეს თუ ღზინი... საქართველო თუ უცხოეთი, ყოფითი ვითარება თუ პროფესიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა. ყოველჯერზე კიდევ ერთხელ ვრწმუნდებოდი თუ რა ნაღდი თანადგომა იცოდა. ამიტომ დღევანდელი თვალსაწიერადან მისი პიროვნული მიმზიდველობა სულ სხვა შუქს ჰყვანს მის მრავალ წოდებას, ხარისხს, რანგსა და რეგალიას, დამსახურებულად რომ ერგო მას თავისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე.

არც ცხოვრებისეული უკუღმართობანი, ჩასაფრება და მტრობა დაჰკლებია: მაგრამ, ქედმოუხრელი ეგებებოდა ბედის ყოველ გამოწვევას. ვინ იცის, კიდევ რამდენს შეძლებდა, მაგრამ, თავს დამტყდარმა დიდმა ტრაგედიამ -უკეთილშობილესი, საამაყო ვაჟიშვილის, ზაზას უდრო დღეუპკამ -თან გაიყოლა ბატონი გივის სიცოცხლისა და სულის უძვირფასესი ნაწილი...“წერდა 2004 წელს სტრასბურგიდან მინდია უგრეხელიძე გივი ინჟირველის ოჯახს.

ასეთი იყო იურისტთა არაერთი თაობის აღმზრდელი, სამაგალითო მამულიშვილი გივი ინჟირველი, რომელსაც 8 მარტს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა.

მომზადებულია გაზეთ „თანადგომაში“ (27.08.2004) გამოქვეყნებული მასალების მიხედვით

„ვინც საქართველოზე პირველად იწერს, იმ ხალხს გაუმარჯოს“

ეს სიტყვები გურამ ბურჭულაძეს ეკუთვნის, რომელიც მან 2005 წელს ქთბილისში რესტორან „წისქვილში“ ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „ალავერი თქვენთან“ მონაწილეობის წარმოთქვა. დღეს იგი 21-ჯერ აღნიშნავდა დაბადების დღეს და 84 წლისა გახდებოდა.

ოზურგეთის კოლორიტი, საუკეთესო მეგობარი, ცნობილი თამადა, ქართული ხალხური სიმღერების ტრფიალი -კიდევ რამდენ ტიტულს დაუმატებდით სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ კაცს. „მე მომღერალი არ ვარ, უბრალოდ ამ სიმღერების მადლით გავიზარდე, რომელსაც მამა და მისი მეგობრები ასრულებდნენ. ჩვენთან ხშირად სტუმრობდა გარლამ სიმონიშვილი. გომში ოთხი მომღერალთა ოჯახი ცხოვრობდა: ბურჭულაძეები, მახარაძეები, გოლაძეები, ვვარაცხელიები. ბავშვობიდან მათი ურთიერთობა როგორი ზრდილობანი, კულტურული იყო.

მამა 1930 წელს ვარლამმა თავის გუნდში მიიწვია. გუნდი კონცერტებს ატარებდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და მოსკოვში...“ - უამბო 8 წლის წინ გაზეთ „ალიონს“ გურამ ბურჭულაძემ. 1934 წელს გომში ცნობილი მთაწველი ალიონმა ვაჟარაძე ჩასულა, რომელსაც მეგობრებს გურამის მამა, იოსები უწევდა. ალიონმა მდინარე ბუჯის სათავე და ხეობა დაუთვალა და უთქვამს: „...ეი ელექტროსადგურის აშენება შეიძლება...“ რამდენიმე ხნის შემდეგ გომში სპეციალისტები ჩამოვიდნენ და ელექტროსადგურის მშენებლობაც დაწყებულა.

„პატარა ვიყავი, მაგრამ კარგად მასოვს, რომ ჩამოსული სპეციალისტები ჩემს სახლში იყვნენ, ჩვენს სახლში ხდებოდა ნახაზების განხილვა, დგებოდა გგმები...“ იფრენდა გურამ ბურჭულაძე.

გავიდა წლები და მან პროფესიად ელექტროინჟინრობა აირჩია. 1956 წელს 9 მარტის ცნობილი მოვლენების მონაწილე იყო.

„...რამდენიმე მეგობარი მომიკლეს. მამნდელ გრძობებს სიტყვებით ვერ გადმოცემ. ეს ჩემი ცხოვრების სამწიფი პერიოდი იყო.“

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბუჯისზე დაიწყო მუშაობა ელექტროინჟინროდ. შემდეგ ქალაქში გადმოვიდა, დაქორწინდა ქალბატონ ციალა ჭანუყვაძეზე, რომელიც შემდეგ ათეული წლები ბუჯისზე მუშაობდა. ორი შვილი შეეძინათ: თამარი და ირმა. დიდ პატივს სცემდა სიტყვებს: ზაზა ჭანიშვილის და ალიკა გოლაძის. ოთხი შვილიშვილის ბაბუა იყო.

ძალიან უჭირდა გარდაცვილი მეგობრებზე საუბარი. მათ განსვენებაზე ცრემლები მოეძლეოდა ხოლმე. უპირველესად ვაზო ვიორგაძეს მოიგონებდა.

„...კარგ ლექსებს წერდაო“ -იტყოდა. საინტერესოდ იგონებდა გივი დოლიძის, ზაურ ბოლქვაძის სტუმრობებს. ხშირად ვეფრებოდა „ჭადრების სამოს“, რომელიც მისი საუკეთესო მეგობრებიდან შედგებოდა.

იგი ავტომანქანაში მხოლოდ ხალხურ სიმღერებს უსმენდა. ეს მისი ცხოვრების წესი იყო. განსაკუთრებით გურული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშები უყვარდა.

„ნახე, როგორ მღერის საშუელ ჩავლიშვილი ან ბერძენიშვილები -იტყოდა.

ამიტომაც იყო მის გვერდით ხშირად ვხვდებოდა ანსამბლს „ერისიონის“



სელმძღვანელოს ვემაღ ჭყუასელს, ტრისტან სისარულიძეს, ამირან გოლაძეს, ილო ინჟირველს და სხვა არაერთ ცნობილ მომღერალს.

ცნობილი თამადა იყო. იგი მსმენელს არა მარტო საუკეთესო სადღევანდოლოებით ხიბლვდა, ლექსებსაც (მათ შორის საკუთარსაც) შესანიშნავად კითხულობდა და საუკეთესოდ მღეროდა.

„...წარმოუდგენელია სტუმარი მასპინძლის გარეშე“ -იტყოდა იგი. 2005 წელს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში, „ალავერი თქვენთან“ მონაწილეობისას გურამმა გაიხსენა: 1951 წელს შემოქმედით ძმები კობა და ლევან ჩხატარაშვილები იმითმ გადასასხლეს, რომ მათი ძმა დავითი ამერიკაში ცხოვროვდა და ექიმად მუშაობდა. წითელი ვაფრებით ერთი თვე ატარეს. ციშირში რომ ჩავიდნენ, ძველ გადასახლებულ თანამემამულეებს შეხვდნენ. დაამწვიდეს ისინი და დაიწყეს სიმღერა:

„...ცა ფირუხ ხმელე ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო...“

„ვინც საქართველოზე პირველად იწერს, იმ ხალხს გაუმარჯოს! ვაზის ძირს გაუმარჯოს!“

„...კაცი რომ უღვინოდ დაიწყებს ლაპარაკს, გურამი იტყვიან-ვინაა აგი აბდალი. ღვინოს აქვს მის უფლება, დალოცო და მოეფერო ხალხს!“

საუბრის დროს იმ საღამოს თამადა ილო ინჟირველმა გურამ ბურჭულაძეს გაუხარებდა: „...დაბერი ჩემო გურამიო...“ რაზედაც გურამმა ექსპონენტად გასცა პასუხი:

„...მერე რაა, რომ დაბერი, მე ხომ ვიცხოვრე სამყოფი, ახლა იქეთკენ მივდივარ, სადაც არა ვარ ნამყოფი. მუხაალი წუთისოფელი, მე შენი შვილი გმორდები, თუ ვინმეს ვალი მიმცემა, მოხვალ და გავისწორდები.“

გურამ ბურჭულაძე ჩვენი ვაზეთის ახლო მეგობარი იყო. იგი რედაქციის ძველი და მომღვწი თაობის ხშირი სტუმარი იყო.

წავიდა გურამი საწუთროდ და სამწუთროდ მისი ქალიშვილი თამარიც გარდაიცვალა.

დღეს ოზურგეთის აღარ ამშვენებს ორი დიდი მეგობრის, კოლორიტების გურამ ბურჭულაძის და რენო ურუშაძის ომანიანი შეძახილები, დასამასხურებელი თამადა.

ახლა მისი მეგობრები, ახლობლები მას მოვინებებში აცოცხლებენ.

ნუგზარ ასათიანი



# მკობა ფირალთა ზეობისა მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ყოფა ფირალთა ზეობაში

დასაწყისი იხილეთ №31 3 აგვისტო, 2015 წელი, №2--8 2016 წ

რუბრიკას უძღვება ოფორმების ისტორიული მუზეუმის მშენებარ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი



1860 წელს სიკვდილს პირდებოდნენ გლეხები დიდი ქველმოქმედის გრიგოლ გურიელის ძმას ლევან გურიელს, გურიელი სასწაულებრივად გადაარჩა.

მებატონეთა სიკვდილით გასაღებასთან ერთად არც მოსამართლეები ავიწყდებოდათ: „ოქტომბერში 1873 წელს დასწევს სოფლის მოსამართლის ბინა, ღამით, როცა მის სახლობას ეძინა შეუკიდეს სახლის სახურავში ცეცხლი და დასწევს. იმ საწყალს გარდა ცოლმშვილისა არაფერი გადარჩენია.

პოლიციის მცდელობა ავაზაკთა მხრიდან დანაშაულობათა აღკვეთისა ამაო გამოდგა. დროების ცნობით: ერთ მეტეპებს ღუქის ძირი გამოუთხარეს იმდენად, რომ 12-13 წლის ყმაწვილი თავისუფლად შესულიყო შიგ და იქედან მოიპარეს რაც კარგი ქვებები, თუნგები და ტაფები იყო. რამდენიმე ნაქურდალი ნივთი ნახეს გაჩხრეკის დროს ერთ-ერთ საროსკიპო სახლში. ამ სახლში ერთი საზამთრო ოთახია, სადაც თავს იყრის ყველა აქ მცხოვრები (მსუბუქი ყოფაქცევის) ქალები და ორი ყმაწვილი სასწავლებლად მიბარებული სასულიერო-სკოლაში, 8 და 10 წლისანი. ეს ყმაწვილები, თავადმშვილები არიან-თავდგირიძენი. იმისთანა სამიკიტნობაში და სახლებში იზრდებიან „არათუ დაბალი ხალხის შვილები არამედ თავადაზნაურთა მაღალი წოდებისა, და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ოზურგეთის მაზრაში ამდენი ავაზაკობა ხდება“.

ავაზაკებმა და ბოროტგანმზრახველებმა დამინებისა და ტერორის გზით სცადეს სასამართლო უწყების „თავიანთ ჭკუაზე“ მოყვანა. ამას ქროთამც დაუმატეს და თავიანთ უგვან

ქმედებებს კიდევ ფართო გასაკანი მისცეს. ასეთ ვითარებაში „პოლიციამ ვერა გაიტანა რა სასამართლოში, ავაზაკები ცრუ მოწმეებს შოულობდნენ და თავს ითავისუფლებდნენ სასჯელი-საგან... (ამის გამო) 1880 წლის ოქტომბერში აქ მთავრობამ შემდეგი ხერხი იხმარა:

გაგზავნა მესამე ქვეითი ჯარის გურიის დრუჟინის ასული რამდენიმე ხანს ოზურგეთში, დააყენა ქალაქში და შემდეგ სოფლებში გაგზავნა და ცუდი კაცების ხელის შემწყვე ოჯახებში ჩააყენა.

შეავიწროვეს ის სოფლები, განსაკუთრებით, სადაც ფირალები იყვნენ... (მომხლავერებულნი). ეს რამდენიმე თვეა, რაც ავკაცობამ იკლო.

ავაზაკების შემცირებას მორჩენებითი ხასიათი ქონდა. 1883 წლის 23 აგვისტოს ოზურგეთიდან სამტრედიას მიმავალ დრუჟინას დახვდა ავაზაკები და მოჰკლეს გიგო ბერიძე.

გიგო ბერიძის მკვლელობა არც პირველი იყო და არც უკანასკნელი, ხალხი ზნეობრივად დაეცა, ფირალობა შეურყეველი რჩებოდა. იმდროინდელ პერიოდულ პრესაში მათი კონკრეტული გვარ-სახელები თანდათან წარმოჩნდა.

1880 წლის 10 ივლისს, სოფელ ბაილეთში ღამით საკუთარ ღუქანში მოჰკლეს ვაჭარი ახმედ ქვეცი ოლილი და მისი პრიკაზნიკი დარჩია. წაუღიათ 500 მან. ფული და სხვა საქონელი.

1880 წლის ივლისის შუა რიცხვებში სოფელ ოზურგეთში თათრებმა (სასიკვდილოდ დასჭრეს ამავე სოფლის მცხოვრები) ა. სურგულაძე. პოლიციის ბოქაულის თანამშემე გოგიტიძე, გამოძიებელი-კუზმინი, მოძრიგებელი მოსამართლე ბაბინი. გამოძიება წარმოებს. დაიჭირეს ორი თათარი და ერთი გურული.

მომრავლდნენ ავაზაკები. „მთელი ოზურგეთის მაზრა საშინელ ტანჯვასა და წვალებას განიცდის. თითოეული სოფელი მოვალეა ფარულად იყოლიოს (ავაზაკთა წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფი) ხუთიდან ათ კაცამდის. ეს უბედურები უნდა იდგნენ ამ საშინელ თოვლსა და წვიმაში სახელმწიფო შარაზე. დღედაღამ, განუწყვეტლივ ყველა მათგანი უიარაღოა, ხოლო ფირალს შეიარეღებულს თავიდან ფეხებამდე რაი არ შეუძლია წაჰკიდონ ამ დარაჯებს. დარაჯები მათი შიშით ვერ ბედავენ ვერაფრის გამხელას, სანამ დარაჯი ფირალის თავდასხმას პოლიციას აცნობებს, ხოლო პოლიცია შემდგომად ამისა სათანადო განკარგულებას გასცემს, ავაზაკს თავისი საქმე კარგა ხნის მოთავებული ექნება.

განშირდა წინააღმდეგობა „გურიის შხის ქვეშ“ თავისუფალი ადგილის მოპოვებისათვის

მუსულმანთა მაცხოვრის სჯულის აღსარებელ ავაზაკებს შორის. 1881 წელს გაზ. დროება იუწყებოდა:

ამას წინათ ერთმა ავაზაკმა თათარი მოკლა. თათარის ამხანაგებმა მკვდარი თავიანთ სასაფლაოზე დაასაფლავეს. (ამის საპასუხოდ) მათ მოიტაცეს ერთი ლიხაურელი ბიჭი, მკვლელის ნათესავი, წაიყვანეს და სადაც თათარი იყო დასაფლავებული იქ დაკლეს და იქვე დასაფლავეს.

მეორე ბიჭი ლიხაურელი კიდევ ჰყავთ დაკავებული. მის შესახებ ჭირისუფალს შემოუთვალეს თუ (ამ ბიჭის საფასურად) გამოგვიზავნით 200 მანეთს, გავუშვებთ, თუ არადა მოკლავთ... ყოველივე იმდენი შეწუხების გამო, ოზურგეთში გამოითხოვეს ერთი სოტნა ქვეითი დრუჟინა.

გურიაში მიმდინარე გამძაფრებულ პროცესებსა და საკუთრივ გურულებს, კრიჭაში ჩაუდგა ქართველთა მისისხლე და მოძულე საქართველოს საგზარდოსოს სკოლების მეთვალყურე, დეკანოზი ვოსტოროგოვი.

1904 წლის 14 დეკემბერს პეტერბურგის სასწავლო მუხრუმის შენობაში წაკითხულ მოხსენებაში: „ამიერკავკასიის სამრევლო სკოლების შესახებ“ ვოსტოროგოვმა გურულებს უწოდა ყაჩაღები და ავაზაკები, დიდი ხანი არ არის მას აქეთ-წერდა ვოსტოროგოვი, - როცა გურიაში იმლაგდნენ ყოველსავე მოპარულს... გასათხოვარი ქალები სათათრეში მიჰყავდათ გასაყიდათ.. აქვე ჰყიდნენ მოპარულ ცხენებს, აქვე იმალდებოდნენ ავაზაკები და სხვა ბოროტმოქმედნი. გურია დღემდის ცნობილია როგორც უწყესობების ავაზაკობისა და ძარცვა-გლეჯის ბუდე.

ჩაქუროსან ფირალთა მხარე ვოსტოროგოვისთანა „ოქრობირებს“ ძნელად თუ შეარჩენდა მსგავს შეურაცხობასა და საძრახის საქციელს, მას გარკვევით აგრძნობინეს, რომ ენით გამოთქმული ამ სიბინძურის განცხადების შემდეგ, თუ გარყვნილი ხუცესი საქართველოდან არ აიკრავდა გუდა-ნაბადს სამარეს გაუთხრიდნენ და უზიარებლად მიპარებდნენ მის მიერ შეურაცხყოფულ მიწა-წყალს.

კომიტეტის მანქურთებმა ცოცხლად მოზიდეს მუხრუმის გროვა. ვოსტოროგოვმა პეტერბურგისაკენ იბრუნა პირი. შემდეგ შესაფერისი სამსახური გამოუნახეს. ვოსტოროგოვი სარატოვში იქნა გადაყვანილი საკათედრო ეკლესიის დეკანოზად, იქვე აირჩიეს იგი ადგილობრივ სასულიერო კონსტიტორიის წევრად.

გურულები-განსაკუთრებით ფირალები და მანქურთი ტერორისტები განსაკუთრებული მძულვარებით და ზიზღით იხსენიებდნენ ომის-დროინდელ პერიოდული პრესის ყველა იმ წარმომადგენლებს, რომლებიც აუგად იხსენიებდნენ თავიანთ სამშობლო ქვეყანას და „ხალხის თვალში გამოჭენებას“ ცდილობდნენ. აქ მიმდინარე სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური პროცესებისას, თუ იგი მათთვის მოსაწონი და მისაღები არ იქნებოდა.

1886 წლის 31 დეკემბერს „დათიკო ვერმიცანაშვილი“-ს ფსევდონიმს ამოფარებული გურული კორესპონდენტი გაზეთ „დროების ფურცლებზე“ წერდა: „ვინ არ იცის რო, გურულები გულჩვილი, და მასთან წრეს გასული თავმოყვარე ხალხია. ყურბუმი (ტყვია) მოახვედრე გულში და მის ამავეს კი ნურავის გაუმჟღავნებ. მის გარემოებაზე და ავ-კარგზე კალამს ნუ გაანძრევ, რა საკადრისია მითხარი ჩემი ძამი, მე რაცხას ვმობი ჩუმად, კაია თუ ავია, რა კარში გასატანია, რა გაზეთში ჩასაგდება, მარა საქმე რომ დილევა კაცს იია და მეტი არაფერი... მე და ჩემმა ღმერთმა მოსათმენი არაა, რომ კაცი იყოს თოვ საკრავია იი დღეა გაგლეჯილი, ვინცხა ამისთანებს ჩხიანავს. საძრახისი და საჩხიანავი საქმოზე მეტი იყო ფირალთა და ავაზაკთა სათარუმო გურიაში, უკუღმართი დროა ზვირთებმა შთანთქეს ნაძუსი, გაგვიქარწყვლა პირიანობა და ახდერძი აუვო ერთმანეთში დაუნდობლობას... დაიბდა ავკაცობა.. სული ხომ წახდა და წახდა, მაგრამ არც ხორცია კაი ყოფაში“.

1878 წლიდან მოკიდებული „მტაცებელი მკვლენი დათულია სურგულაძე, აჭის მცხოვრები ცენტრატე და ხუსია კვესიფილი, გურიანთელი ტულუმი, პავლე მახარაძე და სხვები იკლებენ გურიას და ქობულეთ-აჭარას ქურდობითა და მკვლელობებით. ნასაკირალზე დღეუფანის მგზავრთა ნადარცვი უნახეს ეგნატე ვასაძეს, სილოვან მუჯირს და გლახუნა სტურუას ვასაძის გამოტენის წყალობით ხალხი ამბობს, რომ ჩვენ თვითონ შეკრულ-შეპოჭილს მივევრითო მაზრის მმართველს ავაზაკებს, ოღონდ კი კანონიერად გაასამართლონ ისინიო. მაზრის უფროსი ოტია დადიანი დიდი უწყყინებელი კაცი იყო ასეთი პირებისა. იგი ხელს უწყობდა და აღვივებდა ბოროტმოქმედებს.

მეწვერ ბოგუშაკი

## სქალთათათას

### ნაზი და გენო ფეროკეები



ძნელია, როცა დროის მოკლე მონაკვეთში ოჯახიდან ორ უძვირფასეს ადამიანს თითქმის ერთდ-

როულად დაკარგავ და დაობლდები.

მოხდა ისე, რომ მეუღლეების – ნაზი და გენო წეროძეების ხსოვნის პატივმისაგები ღონისძიებები, ცოლის ორმოცი და ქმრის სულის ახსნა, – ერთობლივად აღვნიშნეთ.

ნაზი წეროძე გაღმა დვაბზუს საბაზო სკოლის მასწავლებელი იყო, გენო წეროძე – მეურნე და ტაქსის მძღოლი. როგორი ადამიანები იყვნენ – სოფელმა და რაიონმა იცის.

ნათელი დაადგეთ!

ოჯახი.

### ადელიკო ცერცვაკი



ერად ნახევარ საუკუნეზე მეტი ეწეოდა ცხოვრების რთულ ჭაპანს, ისე ეფერებოდა ცხედარს, როგორც ცოცხალს.

უკვე მარადისობაში გადასული, სურათიდან ღიმილით გვიცქერს. ამ ღიმილითაც ჩანს მისი სულის გამოშუქება. მჯერა მისი ღამაზი ცხოვრება, განვლილი გზა, მაღლი გზას გაუნათებს იმქვეყნად.

ნოდარ ღონაძე

# ალექსანდრე ებრალიძის წარმატება



საჭადრაკო კლუბ „გურიას“ წევრი ალექსანდრე ებრალიძე 19 წლისაა და მნიშვნელოვან წარმატებას მაილწია ჭადრაკში. მას არაერთი ტურნირი აქვს მოგებული, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. იგი გახლავთ ქალაქ თბილისის 7-ეზის ჩემპიონი, მათ შორის სამჯერ იყო ქალაქ

თბილისის ღია პირველობის 3-ეზის ჩემპიონი. მოგებული აქვს ვახტანგ ქარსელაძის, ბუხუტი გურგენიძის, შოთა ინჭიკიშვილის და სხვა ცნობილი მოჭადრაკეების ტურნირები.

გარდა ამისა, არის საქართველოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი, ერთხელ ბრინჯაოს მედალოსანი.

შარშან, დაბა ურეკში გამართულ საქართველოს საკლუბო პირველობის უმაღლესი ლიგის საჭადრაკო ტურნირში საჭადრაკო კლუბ „გურიას“ წარმომადგენლა. სწორედ მისმა პარტიამ გადაწყვიტა კლუბ „გურიას“ გამარჯვება კახეთის ძლიერ გუნდთან, რომელიც საქართველოს ნაკრები გუნდის წევრებით იყო დაკომპლექტებული. „გურიას“ ამ პრესტიჟულ ტურნირში კარგი შედეგი აჩვენა.

სასიხარულოა, რომ ახლახან

გამართულ 20-წლამდე მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატში საპატიო მეორე ადგილი დაიკავა და იგი ჯერ სტამბულის, შემდეგ პოლანდიაში გრონინგენის მემორიალურ საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე ებრალიძის მასწავლებლები იყვნენ: მ. ხანთაძე, გ. გოგიჩაიშვილი, ნ. ბახტაძე, ნ. სუპატაშვილი. ამჟამად მას დავით ჯოჯუა წვრთნის.

ვულოცავთ საჭადრაკო კლუბ „გურიას“ წევრს, ალექსანდრე ებრალიძეს ამ წარმატებას.

**ზურაბ ანდლულაძე,**  
საჭადრაკო კლუბ „გურიას“ პრეზიდენტი.

# ავტომობილები განვადებით



„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცედენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№11ა.



# „მერცხალი“ შინ 0:0 ითამაშა

გუნდი	თ	მ	ფ	ნ	გ	გ	+/-	ქ
ლიხევი	19	13	5	1	59	18	41	44
სამხრეთი	19	12	2	5	37	21	16	38
ბათუმი	19	11	2	6	31	25	6	35
ბორჯომი	19	9	6	4	28	19	9	33
კოლხეთი ხ	19	9	5	5	34	17	17	32
ვიტ-კორჯია	19	8	5	6	34	21	13	29
რუსთავი	19	7	7	5	17	14	3	28
ბაბრა	19	9	0	10	28	24	4	27
საფარი	19	7	5	7	18	18	0	26
მათხარა	19	6	6	7	21	24	-3	24
იმერეთი	19	5	8	6	19	27	-8	23
ოდიში 1919	19	6	4	9	23	37	-14	22
მეგობრები	19	4	9	6	11	18	-7	21
სამხრეთი	19	5	5	9	18	29	-11	20
შიდათუბა	19	4	8	7	21	33	-12	20
ჩხერიმედა	19	5	4	10	23	38	-15	19
ალბათი	19	4	3	12	8	27	-19	15
მერცხალი	19	2	6	11	20	40	-20	12

დაიწყო საქართველოს პირველი ლიგის მეორე წრე ფეხბურთში. „მერცხალი“ პირველ ტურში გორში ვათამაშების ლიდერ „ცხინვალთან“ 0:1 დამარცხდა.

26 თებერვალს „მერცხალი“

საკუთარ მოედანზე ვათამაშების ცხრილში მე-13 საფეხურზე მყოფ ხონის „იმერეთს“ შეხვდა. ეს მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა.

ტურის სხვა მატჩები: ჩხერიმედა - ალგეთი 3:0; სამგუ-

რალი - კოლხეთი ხ. 1:1; ოდიში 1919 - სკური 2:0; სამგერელო - რუსთავი 1:0; მეშახტე - ლიხევი 0:0; ვაგრა - ჭიათურა 0:2; ბორჯომი - ვიტჯორჯია 2:2; ბე-თლემი - მაჭახელა 1:0.

# ნარდის ტურნირი კონჭკათში



**ალიონი.** 13 თებერვალს, გურიის ნარდის ფედერაციისა და სოფლის ხელმძღვანელობის ერთობლივი ინიციატივით, სოფელ კონჭკათში ხალხმრავალი შეჯიბრება გაიმართა ქართულ(მოკლე) ნარდში. სოფლის ჩემპიონატი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა აწ გარდაცვლილი ცნობილი მონარდებისა და ღირსეული ადამიანების გური და გვი არომიძეების სსოფნას მოუძღვნეს. მასში, სხვადასხვა თაობის, 50-მდე ნარდის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრება, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, ძალზე საინტერესოდ წარიმართა. როგორც ჩვენთან სუბარში შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა სარლამაძე დოლიძემ აღნიშნა, მოუხდავად იმისა ორთაბრძოლების უმეტესობა დაძაბულად მიმდინარეობდა, მონაწილეები მაღალ კულტურასა და ურთიერთ

პატივისცემას ავლენდნენ. საბოლოოდ ყველას კობა ფედროვმა აჯობა. მართალია მან დასაწყისში (1/16 ფინალში) მატჩი 4:5 დათმო, მაგრამ შემდეგ ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა და ფინალში ჯაბა გეგუაძესთან 5:4 მოგებით სოფლის ჩემპიონობა მოიპოვა. III-IV ადგილები შესაბამისად ვლადიმერ გოთუამ და კარლო არომიძემ დაიკავეს. წარმატებული მონარდები თასებით და სპეციალური დიპლომებით დაჯილდოვდნენ, რომელიც მათ გურიის ნარდის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ოლეგ ვობრონიძემ გადასცა. ჩემპიონატის დასრულების ცერემონიალი საგანგებოდ მოწყობილ სუფრასთან გაგრძელდა,რომელიც იმედოვნოდ სოფლის ღირსეულ ადამიანთა სსოფნასაც დაუკავშირდა

# უჩვეულო ტურინული მატჩი და მიუხედავად მიუხედავად ინტრიგა



ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დუელი "ოვენტუსსა" და

"ბაიერნს" შორის იმართება, რომლის პირველი რაუნდი ტურინში შედგა და ფრედ, 2:2 დასრულდა.

მეტად უცნაური მატჩი ვიხილეთ ორი განსხვავებული ტაიმით - პირველ ნახევარში, მოუნხენის „ბაიერნს“ შინსი არ დაუტოვა მეტოქეს და პირწმინდად აჯობა, ანტრატის შემდეგ კი ტურინელები გამოფხიზლდნენ და 2-ბურთიანი ფორა ამოუქაჩეს მეტოქეს.

და მინც, სრულიად გაუგებარია, რატომ დადგა „ოვენტუსი“ ყრუ დაცვაში და რატომ დაუთმო მეტოქეს ასე იოლად მოედნის ცენტრი, როდესაც მასიმილიანო ალგერმ ჩვენზე უკეთ

იცოდა, რომ გერმანული გრანდის ყველაზე სუსტი რგოლი დაცვა იყო და ასეთ დროს შეტევა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. პირველ ტაიმში „ოვენტუსი“ იყო უსუსური, სრულიად უუნარი და თითქოს, უმოტივაციო, რისი ახსნაც, უბრალოდ, შეუძლებელია.

არანაკლებ უცნაური იყო მეორე ნახევარი, რომლის სტარტზე „ბაიერნსმა“ მეორე გოლი გაიტანა და ყველა ლოგიკით, მატჩი მშვიდად უნდა მიეყვანა გამარჯვებაზე. აქ კი „ოვენტუსმა“ იძალა და, თითქოს, განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე გაათანაბრა ანგარიში. დას, ჩვენ ვერ

ვიხილეთ ტურინელთა მასირებული იერიშები და შტურმი - „ოვენტუსი“, უბრალოდ, უმატა მეტოქის ნახევარზე გადასვლას და ეს საკმარისი აღმოჩნდა 2-ბურთიანი ფორის აღმოსაფხვრელად.

გ კი არა, ცოტა გამართლებს და „ვეკია სენიორა“ მესამე გოლსაც შეეგებდა. საგულისხმოა, რომ პეპ გვარდიოლას გუნდმა, დას, გვარდიოლას გუნდმა ვერ შეძლო ბურთის დაჭერა მამინ, როდესაც სოლიდური ფორა ჰქონდა და ტიკიტაკა ყველაზე მეტად სჭირდებოდა. „ბაიერნსმა“ ვერ დაიჭირა ბურთი მამინ, როდესაც

"ოვენტუსს" პრესინგიც კი არ შეუთავაზებია მეტოქისთვის.

გერმანული და იტალიური სპორტული პრესა თანხმდება, ან რა შეთანხმება სჭირდება, რომ 2-მატჩიანი დუელის ბედი მოუნხენმა გადაწყვიტა, დარჩენილ სამ თამაშში ლონდონის „არსენალი“ შინ დამარცხდა „ბარსელონასთან“ 0:2. კიევის „დინამო“ შინ კიევი 1:3 წააგო, „მანჩესტერ სიტისთან“, ხოლო პოლანდიის „პსვ ენდ-ჰოვენსმა და ესპანურმა „ატლეტიკომ“ ფრე ითამაშეს 0:0.

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +6+18 29 თებერვალი ორშაბათი	მზე, +8+22 1 მარტი სამშაბათი	მზე, ღრუბელი +8+21 2 მარტი ოთხშაბათი	მზე, ღრუბელი +12+22 3 მარტი ხუთშაბათი	მინიმ, წვიმა, +11+18 4 მარტი პარასკევი	მზე, ღრუბელი +9+17 5 მარტი შაბათი	წვიმა, +8+15 6 მარტი კვირა
-------------------------------------	---------------------------------	---	--	---	--------------------------------------	-------------------------------